აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 1

20 ივნისი 2011 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, გია გარსევანიშვილი, თამარ ხოზრევანიძე და ასლან ჩავლეიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრი მალხაზ კალანდაძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარადგინა დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

2. განკარგულება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ.

(მომხ. ქ. ჯიქია)

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში შესატანი ცვლილებები და დამატებები ძირითადად განპირობებულია ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონში და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განხორციელებული ცვლილებებით, კერძოდ: თუკი ხსენებული ცვლილებების განხორციელებამდე უსკოს ნორმატიული აქტი (დადგენილება) სარეგისტრაციო კოდის მინიჭებისათვის ეგზავნებოდა აჭარის ა.რ. იუსტიციის დეპარტამენტს და ქვეყნდებოდა ბეჭდვით ორგანოში, განხორციელებული ცვლილებების თანახმად, საქართველოს ნორმატიული აქტი (უსკოს დადგენილება) იურიდიული ძალის მქონეა მისი სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან, რაც დაზუსტდა და ჩაიწერა უსკო რეგლამენტში. სხდომის თავმჯდომარემ ასევე მუხლობრივად განიხილა ყველა ის ცვლილება და დამატება, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის პირველი მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით (გაზეთი „აჭარა“ 23. 05. 2006 წ. №91) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. მე-10 მუხლის „თ“ და „მ“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„თ) უზრუნველყოფს უსკოს მიერ მიღებული დადგენილებების გადაცემას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ში გამოქვეყნების მიზნით.
მ) უზრუნველყოფს უსკოს დოკუმენტაციის არქივში განთავსებას, შენახვასა და დამუშავებას“.

2. მე-11 მუხლის „თ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„თ) ახდენს სსიპ „საქართველოს საკანომდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე (WWW.MATSNE.GOV.GE) სისტემატიზირებული (კოდიფიცირებული) ნორმატიული აქტებისა და სხვა საინფორმაციო დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიების საჭიროებისამებრ მოძიება-დამუშავებას, უსკოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის ნორმატიული აქტების ან/და მათი ძალაში შესვლის შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და მიწოდებას.“

3. მე-14 მუხლს „მ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$მ^1$“ პუნქტი:
„$მ^1$) არასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრირებას უწევს უსკოს ვებგვერდს“.

4. მე-18 მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „1^1“ პუნქტი:
„1^1 არჩევნების დანიშვნის დღიდან მის დასრულებამდე უსკოში საარჩევნო დავებზე განცხადება-საჩივრის წარდგენა შესაძლებელია უსკოს აპარატის საერთო სამსახურში კალენდარული დღის დილის 10 საათიდან 20 საათამდე“.

მუხლი 2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

2. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა ქეთევან ჯიქიამ კომისიას წარუდგინა განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით არჩეულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრს თემური ბოლქვაძეს უმაღლეს საბჭოს 2011 წლის 10 ივნისის №117 დადგენილებით ვადამდე შეუწყდა უმაღლესი საბჭოს წევრობა. ასევე მისი ადგილმონაცვლედ კომისიას წარუდგინა ამავე პარტიის პარტიული სიით რიგით მომდევნო კანდიდატი მინური აბულაძე, კომისიას გააცნო კანდიდატის თანხმობა უმაღლეს საბჭოს დეპუტატობაზე, ნარკოლოგიური ცენტრიდან წარმოდგენილი ცნობა დეპუტატობის კანდიდატის მიმართ ნარკომანიის, ტოქსოკომანიის, ალკოლიზმის ფაქტის არ გამოვლენის შესახებ, ასევე აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის თანახმად, კომისიის მიერ უნდა მოხდეს უმაღლეს საბჭოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლის ცნობა.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, 64-ე მუხლის მე-7 პუნქტის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2011 წლის 10 ივნისის №117 დადგენილების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. ცნობილი იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით არჩეული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის, თემური ბოლქვაძის (პარტიულ სიაში №8) ადგილმონაცვლედ, ამავე პარტიის პარტიული სიით რიგით მომდევნო, უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი მინური აბულაძე (პარტიულ სიაში №12).

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია